



საქართველო ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

ქ.ოზურგეთი კოსტავას ქ.№1

30 მარტი 2012 წელი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა №58

„ოზურგეთის მუნიციპალიტეტში საჯარო აუქციონის ორგანიზების მიზნით სააუქციონო კომისიის შექმნის თაობაზე“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის 2011 წლის 21 თებერვლის №22 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“-ს 63-ე მუხლის შესაბამისად:

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

მუხლი 1. შევიდეს ცვლილება „ოზურგეთის მუნიციპალიტეტში საჯარო აუქციონის ორგანიზების მიზნით სააუქციონო კომისიის შექმნის თაობაზე“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის 2011 წლის 21 თებერვლის №22 ბრძანებაში და ბრძანების პირველი პუნქტის „ე.ბ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ე.ბ) მერაბი წიგწივაძე – ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკის, ინფრასტრუქტურის და საინვესტიციო გარემოს განვითარების სამსახურის უფროსი.“

მუხლი 2. ბრძანება გადაეგზავნოს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობას.

მუხლი 3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში გაცნობიდან ერთი თვის ვადაში (მის: ქ. ოზურგეთი სიორიძის ქ.№14).

მუხლი 4. ბრძანება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე:

ალეკო მამეშვილი